ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №111

ქ. ქობულეთი ,,13“ სექტემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, **ქობულეთის მუნიციპალიტეტი** (ს/კ 247001890) (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის სულხან მოწყობილის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ქვიქტესტი“** (ს/კ 405239503) (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ქორიძეს სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც, ,,მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

პრეამბულა

❖ *წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს 2017 წლის 1 დეკემბრის მთავრობის N510 დადგენილება ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე გასაწევი მომსახურების მხარეთა შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად:*

❖ *პირობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს 2017 წლის 1 დეკემბრის მთავრობის N510 დადგენილება ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება N522 „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვაკატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.*

❖ *მიმწოდებელი ადასტურებს, რომ აკრედიტირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიზნებისათვის გასაწევი მომსახურების გაწევისათვის და აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N511 დადგენილებას, კერძოდ ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს.*

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. ,,ხელშეკრულება“- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. ,,შემსყიდველი“-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

1.3. ,,მიმწოდებელი"-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ,,მომსახურება"-წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ,,ხელშეკრულება") თანდართულ დანართიN1-ში მითითებულ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების მომსახურება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 აინვრის N37 და 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილებების შესაბამისად (CPV კოდი: 71631200 მომსახურებები ტექნიკური შემოწმების სფეროში).

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1, რომელიც მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ჩამონათვალს, ჩამოყალიბებულია მხარეთა მიერ და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელიც მასთან ერთად მოქმედებს.

მუხლი 3. მომსახურების პირობები და ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა გასწიოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან-არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 840 (რვაას ორმოცი) ლარს. ერთ ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 60 (სამოცი) ლარს (დაფინანსების წყარო-2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-600 ლარი , ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-240 ლარი).

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება გაანგარიშებულია დანართი N1-ში ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებებზე და განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილებისა და შესაბამისად მასში შესული 2017 წლის 1 დეკემბრის N522 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილების შესაბამისად.

3.4. ამ ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

4.1. მიმწოდებელი:

4.1.1. ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების მომსახურება გაუწიოს ,,შემსყიდველს" წინამდებარე ხელშეკრულების (შემდგომში ,,ხელშეკრულება") პრეამბულაში მოცემული დადგენილებების მიხედვით.

4.1.2. წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

4.2. შემსყიდველი:

4.2.1 შემსყიდველის ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური.

4.2.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საქართველოს 2017 წლის 1 დეკემბრის მთავრობის N510 დადგენილების ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლის მიხედვით წარადგინოს მიმწოდებელთან ყველა საჭირო დოკუმენტი.

4.2.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე და მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

მუხლი 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეულ მომსახურებაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ავტომანქანის მარკა/მოდელი, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, გაწეული მომსახურების რაოდენობა და ღირებულება (მომსახურების ფასები გათვალისწინებულია დანართი N1-ით).

5.2. გაწეული მომსახურების მიღება/ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს უფლებამოსილი პირ(ებ)ი, კერძოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-ზვიად ზოიძე ან/და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მამუკა ქათამაძე, რომლებიც ასევე უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ მომსახურების გაწევის ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ ინსპექტირების ჩატარების დროს.

5.3. 5.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 5.2. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 6. ხარისხი

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება შესრულებული იქნება პრეამბულაში გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული მომსახურების გაწევის პროცესში და საგარანტიო პერიოდში არახარისხოვნად გაწეული მომსახურების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ დეფექტურ აქტში მითითებულ გონივრულ ვადებში.

მუხლი 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან/და მთლიანად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი:

8.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან თუ კი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე.

8.2. ფორს-მაჟორულ გარემოებათ ითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გარემოება, სიტუაცია, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია (ნებისმიერი სტიქიური მოვლენა, გაფიცვები, ომები და ა.შ.).

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად.

8.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე ან/და გაგრძელდება იმ ვადით, რა დროითაც გრძელდებოდა ფორს-მაჟორული გარემოებები.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების (მათ შორის მომსახურების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში) შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. შემსყიდველის მხრიდან 7.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში თუ 9.1. პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. მხარეების უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ რომელიმე მხარე უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთვევებში.
11.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მხარემ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეწყვეტის შესახებ შეტყობინება 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე.
11.3. მხარეებს მიყენებული ზიანისათვის პასუხიმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი აცხადებს თანხმობას დანართ N1-ში განსაზღვრულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ვიდეოჩანაწერში ასახვაზე მომსახურების შესრულებისას შემდგომი გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ნებისმიერ მიმოწერას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების შესახებ აქვს იურიდიული ძალა.

12.5. ხელშეკრულება შედგენილი სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი რჩება შემსყიდველთან

12.6. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ქობულეთის მუნიციპალიტეტი
მერის მოვალეობის შემსრულებელი
სულხან მოწყობილი
ს/კ: 247001890
ელ.ფოსტა: shesyidvebiqobuleti@gmail.com
ტელ:577 74 69 69

„მიმწოდებელი“
შპს „ქვიქტესტი“
დავით ქორიძე
ს/კ: 405239503
ელ.ფოსტა: david@quicktest.ge
ტელ:

საბანკო რეკვიზიტები:
სს საქართველოს ბანკი
ა/ა GE51BG0000000024479200

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში, შპს ,,ქვიქტესტის“ მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კონსტროლის განმახორციელებელი ფიზიკური პირი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის უფროსი

/მამუკა ქათამაძე/

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში, შპს ,,ქვიქტესტის“ მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კონსტრილის განმახორციელებელი და მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის

საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი

_____ /ზვიად ზოიძე/

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში, შპს ,,ქვიქტესტის“ მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

_____ /სულხან მოწყობილი/